საქმე №330310023007814983
საქმე №3/6776-23

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

სარჩელზე ხარვეზის დადგენის შესახებ

11 სექტემბერი, 2023 წელი
ქ.თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ციცინო როხვაძე

მოსარჩელე - ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“

მოპასუხე - სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალება

სასამართლომ განიხილა სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2023 წლის 05 სექტემბერს ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-ს მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარმოდგენილი იქნა სარჩელი, მოპასუხის - სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიმართ, შემდეგი სასარჩელო მოთხოვნით:

- ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირის 2023 წლის 02 ივნისის გადაწყვეტილება - ე.წ. „ვირტუალური“ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2023 წლის 23 მაისის №23/09/03-939 განცხადება, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე და დაევალოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს გადასცეს მოსარჩელეს N21/03-939 განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია;

- ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირის 2023 წლის 02 ივნისის გადაწყვეტილება - ე.წ. „ვირტუალური“ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2023 წლის 23 მაისის №23/02-119 განცხადება, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე და დაევალოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს გადასცეს მოსარჩელეს N21/03-119 განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია;

- ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 03 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციული საჩივარი.

სასამართლომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 445-ე-447-ე მუხლების თანახმად, შეამოწმა წარმოდგენილი სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი და გამოარკვია, რომ სარჩელი სასამართლოში წარმოდგენილია ხარვეზით, კერძოდ:

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელში უნდა აღინიშნოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს; ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია, სარჩელს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოსარჩელეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია სარჩელთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს სარჩელში. მოსარჩელე უფლებამოსილია, მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მხარის ერთ-ერთ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 03 აგვისტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციული საჩივარი. **წარმოდგენილ სარჩელს არ ერთვის აღნიშნული გადაწყვეტილება. ამდენად, მოსარჩელე მხარემ სასამართლოს სრულად უნდა წარმოუდგინოს ის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტები, რომელთა ბათილად ცნობასაც ითხოვს იგი.**

სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 447-ე მუხლის თანახმად, თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილში ან/და 178-ე მუხლში (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს

მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი) მითითებული პირობების დარღვევით ან/და არ არის წარდგენილი სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების იმდენი ასლი, რამდენიც მოპასუხეა, ან/და სარჩელს არ ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, სასამართლო გამოიტანს ხარვეზის შესახებ განჩინებას და მოსარჩელეს დაუნიშნავს ვადას მის შესავსებად. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და მოსარჩელისათვის მისი დაბრუნების შესახებ, რაზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელეს უნდა მიეცეს ვადა სარჩელში არსებული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით და დაევალოს ამ განჩინების ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში შეავსოს მითითებული ხარვეზი.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-2, მე-13 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 445-ე, 447-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მოსარჩელეს განჩინების სამოტივაციო ნაწილში აღწერილი ხარვეზის შესავსებად განესაზღვროს საპროცესო ვადა 10 (ათი) დღე. ვადის ათვლა დაიწყოს განჩინების მოსარჩელისათვის ჩაბარების დღიდან;

2. განემარტოს მოსარჩელე მხარეს, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ;

3. განჩინებაზე კერძო საჩივრის შემოტანა არ დაიშვება.

მოსამართლე ციცინო

როხვაძე